სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 11 თებერვალი 2006 №30 (2652) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელები უკვე ჩაშლაზე თამაშობენ

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდარი ექვსი მეშვიდედით დამტკიცებულია. დარჩენილი ერთი მეშვიდედი კი უკრაინაა, რომლის დელეგაციამაც გუშინ გვარიანად ითამაშა თანაჯგუფელთა ნერვებზე. უკრაინელები მაშინ გატყდნენ, როცა დანარჩენები უეფაში ჩივილით დაემუქრნენ. მათაც მოსაფიქრებლად დრო ორშაბათამდე ითხოვეს.

არავინ იცის, როგორი იქნება უკრაინელთა პასუხი და დამტკიცდება თუ არა კალენდარი, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ *კლაუს ტოპმიოლერს* მისი შეფასება მაინც ვთხოვეთ...

— იმის მიუხედავად, რომ შესარჩევ ციკლს ორი გასვლითი შეხვედრით ვიწყებთ, ვფიქრობ, ჩვენთვის სავსებით მისაღები ვარიანტია.

— უკრაინელებს რატომ არ აძლევთ ხელს კალენდრის ეს ვარიანტი?

— ჩემი აზრით, ეს კალენდარი არც უკრაინელებისთვისაა ურიგო. პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თითქმის დაიყოლია უკრაინელები ხელის მოწერაზე, მაგრამ მათ ამის უფლებამოსილება უბრალოდ არ გააჩნდათ.

— ორშაბათამდე პარიზში დარჩებით?

— ახლა გზაში ვარ, გერმანიაში ვბრუნდები. ჩემი პარიზში ყოფნა ვეღარაფერს შეცვლიდა. იქ ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი დარჩნენ.

ნინო სილაგაძე

ექვსი გაბრაზებული ორშაბათის ელის: ან ეს, ან უეფა

2006 წელი

2 სექტემბერი
იტალია — საქართველო

7 ოქტომბერი
ფარერები — საქართველო

2007 წელი

24 მარტი
საქართველო — ლიტვა

28 მარტი
საქართველო — ფარერები

2 ივნისი
საქართველო — საფრანგეთი

6 ივნისი
უკრაინა — საქართველო

22 აგვისტო
შოტლანდია — საქართველო

8 სექტემბერი
საქართველო — უკრაინა

13 ოქტომბერი
ლიტვა — საქართველო

17 ოქტომბერი
საქართველო — შოტლანდია

17 ნოემბერი
საქართველო — იტალია

21 ნოემბერი
საფრანგეთი — საქართველო

torino 2006

დაჭკბა თვალი და ყური

ტურინი რენესანსიდან ფერარიმდე

AFP ტურინიდან

კლაუს ტოპმიოლერი პარაგვაიში მიიწვიეს

რას იტყვის სურკისი?

ბადრი კეთილაძის ფოტო

ორშაბათს 13 საათზე უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს და ამით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თითქმის შეთანხმებულ კალენდარს ან მწვანე შუქს აუნთებს, ანაც ფარატინა ქაღალდად აქცევს და ყველაფერს უეფას მიანდობს.

პარიზში გუშინწინ დაწყებული მოლაპარაკებათა პროცესი გუშინაც გვიანობამდე გაგრძელდა. შვიდიდან ექვსი ქვეყანა შეთანხმებამდე მივიდა, უკრაინა კი გაქირზე იდგა. პარიზში უკრაინის ნაკრების ინტერესებს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი ალექსანდრ ბანდურკო და ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ოლეგ კუზნეცოვი იცავდნენ, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნდათ და ნახევარ საათში ერთხელ სატელეფონო კონსულტაციებს გადიოდნენ გრიგორი სურკისთან და ოლეგ ბლოხინთან.

მოლოდინი რამდენიმე საათს გაგრძელდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ექვსი დელეგაცია უკრაინელებს უეფაში ჩივილით დაემუქრა. ჩანს, ამან გაჭრა — უკრაინელებმა ორშაბათამდე ითხოვეს დრო მოსაფიქრებლად.

დღის ბოლოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან *უჩა უგულავას* დავუკავშირდით...

— დღეს მუშაობა ფაქტობრივად დავასრულეთ და ორშაბათამდე ლოდინი მოგვიწევს. უკრაინელები პასუხს იტყვიან, თუმცა მათ კალენდარში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა აღარ შეუძლიათ — ან მოაწერენ კალენდარს ხელს, ანაც ყველაფერს უეფა გადაწყვეტს.

— თბილისში როდის ბრუნდებით?

— კლაუს ტოპმიოლერი გერმანიაში გაფრინდება, მე და ნოდარ ახალკაცი კი სამშაბათს ჩამოვალთ თბილისში.

— ტოპმიოლერი როდის ჩამოვა, მალტის ტურნირამდე ხომ არც ისე ბევრი დარჩა?

— თბილისში ჩამოსვლიდან ორი დღის მერე მეც გერმანიაში დავბრუნდები და ტოპმიოლერთან ერთად პარაგვაიში გავფრინდები. იცით, რომ ამ ქვეყნის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაზე შევთანხმდით. სამხრეთამერიკელებმა ერთობლივი პრესკონფერენციის გამართვა მოითხოვეს. თბილისში 20 თებერვალს დავბრუნდებით.

— მალტა?

— მალტისთვის მზადება უკვე დაწყებულია. ევროპაში მოთამაშე ჩვენს ლეგიონერებს კლაუს ტოპმიოლერი აკვირდება, საქართველოში კი რალფ მინგე მუშაობს. მალტაში 23 თებერვალს გავფრინდებით.

გიორგი ნოზაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

კალენდარი

საფრანგეთი, იტალია, უკრაინა, შოტლანდია, ლიტვა, საქართველო, ფარერები

2006 წელი

16 აგვისტო
ლიტვა — ფარერები

2 სექტემბერი
იტალია — საქართველო
ფარერები — საფრანგეთი
ლიტვა — უკრაინა

6 სექტემბერი
იტალია — ლიტვა
ფარერები — უკრაინა
შოტლანდია — საფრანგეთი

7 ოქტომბერი
ფარერები — საქართველო
შოტლანდია — იტალია
საფრანგეთი — ლიტვა

11 ოქტომბერი
იტალია — ფარერები
ლიტვა — შოტლანდია
უკრაინა — საფრანგეთი

15 ნოემბერი
შოტლანდია — ფარერები

2007 წელი

24 მარტი
საქართველო — ლიტვა
საფრანგეთი — იტალია

28 მარტი
საქართველო — ფარერები
ლიტვა — საფრანგეთი
უკრაინა — შოტლანდია

2 ივნისი
საქართველო — საფრანგეთი
უკრაინა — იტალია

6 ივნისი
უკრაინა — საქართველო
ფარერები — იტალია

22 აგვისტო
შოტლანდია — საქართველო
ფარერები — ლიტვა

8 სექტემბერი
საქართველო — უკრაინა
იტალია — საფრანგეთი
ფარერები — შოტლანდია

12 სექტემბერი
ლიტვა — იტალია
შოტლანდია — უკრაინა
საფრანგეთი — ფარერები

13 ოქტომბერი
ლიტვა — საქართველო
იტალია — უკრაინა
საფრანგეთი — შოტლანდია

17 ოქტომბერი
საქართველო — შოტლანდია
უკრაინა — ლიტვა

17 ნოემბერი
საქართველო — იტალია
საფრანგეთი — უკრაინა
შოტლანდია — ლიტვა

21 ნოემბერი
საფრანგეთი — საქართველო
იტალია — შოტლანდია
უკრაინა — ფარერები

უკრაინა კალენდარს იუშჩენკოსთან ათანხმებს?

ვისი აჯობებს: ორშაბათს პარიზის თუ 2 მარტს ქენევის?

ლიტვის ნაკრების მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი უკრაინელთა ყინჩობით ძალიან გაღიზიანებული იყო. მას პარიზში მაშინ დავუკავშირდით, როცა კალენდარზე მოსალაპარაკებლად შეკრებილ კოლეგებთან საუბარი ახალდამთავრებული ჰქონდა და მის სიტყვებში დიდი ემოცია იგრძნობოდა...

— ვერ გავიგე, უკრაინელებს რა უნდათ. კალენდარი ათასნაირად შევატრიალეთ, მაგრამ მათი მოსაწონი ვარიანტი ვერ გავაკეთეთ — გვითხრა ლიუბინსკასმა — პარიზში ყველა გუნდი მწვრთნელებით იყო წარმოდგენილი, უკრაინამ კი ისინი გამოგზავნა, ვისაც გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. საბოლოოდ, ვერაფერზეც ვერ შევთანხმდით, უკრაინელთა ახირების გამო მოლაპარაკება ჩაიშალა, თუმცა უკრაინამ ორშაბათამდე დრო ითხოვა და ვნახოთ...

— მოლაპარაკება ორშაბათს განახლდება?

— აღარ განახლდება. ექვსი გუნდისთვის სასურველი კალენდრის ვარიანტზე უკრაინა ორშაბათს უარს თუ იტყვის, მაშინ ჩვენი ჯგუფის კალენდარს 2 მარტს უეფა შეადგენს. უკრაინელებმა კალენდრის ეს ვარიანტი, ეტყობა, ჯერ ქვეყნის პრეზიდენტთან უნდა შეათანხმონ, შემდეგ პარლამენტში დაამტკიცონ, ამდენი დრო კი არ მაქვს და უკვე შინ მივდივარ.

— როგორ ფიქრობთ, უკრაინა რატომ ჯიუტობს?

— რა გითხრათ?! ვერაფერი გავიგე, არ შეეძლო ბლოხინს პარიზში ჩამოსვლა?! თუმცა რაღაცაზე რომ შევთანხმდით, ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის დამსახურებაა, შეხვედრის მასპინძელ ფრანგებს კი მოლაპარაკებისას ეძინათ. მაშინ იყო, ახალკაცმა რომ თქვა და კალენდრის კომპრომისული ვარიანტი თავად შეადგინა, რასაც ყველა გუნდი ულაპარაკოდ დეთანხმა. უკრაინელთა წარმომადგენლები კი ამ შეხვედრაზე თითქოს არც იყვნენო, ისე იქცეოდნენ.

— თქვენი აზრით, ამ ექვსიდან ყველაზე ხელსაყრელი კალენდარი რომელ გუნდს აქვს?

— ეს ყველასთვის კარგი კალენდარია. ხოლო, თუ თამაში არ იცი, ყველა თამაში შინ რომ ჩაატარო, მაინც არაფერი გამოგივა. ასე რომ, მთავარი თამაშია. ეტყობა, უკრაინელები სხვანაირად ფიქრობენ.

კობა ინასარიძე

ალგიმანტას ლიუბინსკასი (წინა პლანზე) უკრაინელებმა აღაშფოთეს

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIV ტური
სპარტა 0:1 ალკმაარი

მეორე დივიზიონი. XXIX ტური
დორდრეხტი 2:2 დენ ბოსხი
ალმერე 3:4 ემენი
ვოლენდამი 0:0 ეძსელსიორი
ზვოლე 3:0 სიტარდი
ჰაარლემი 2:0 ვენლო
ჰელმონდი 1:2 აპელდორნი
მაასტრიხტი 3:4 ტელსტარი
ოსი 1:0 კამბური
ვეენდამი 2:1 ეინდჰოვენი

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIII ტური
რედინგი 2:0 საუთჰემპტონი

I ლიგა. XXXII ტური
ჰარტლპული 1:0 ჩესტერფილდი
საუთენდი 2:0 როტერჰემი

კონფერენსლიგა
XXIX ტური
ბარტონი 2:0 ეძსეტერი

თურქეთი

სუპერლიგა. XX ტური
დიარბაქირი 1:3 ბეშიქთაში

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXV ტური
ბასტია 3:0 ლავალი
ბრესტი 0:2 კრეტეი
კაენი 1:0 სეტე
შატორუ 0:0 ამიენი
დიჟონი 2:0 ისტრი
გრენობლი 1:3 სედანი
გენიონი 1:0 გენგამი
ლე ავრი 1:1 რეიმსი
ლორიანი 0:2 კლერმონი

გერმანია

II ბუნდესლიგა
XXI ტური
დინამო 2:0 მიუნხენი
კარლსრუე 5:2 აუე
ზაარბრიუკენი — ალემანია
გადაიდო

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXII ტური
ლევერკუზენი (მ) 1:0 ოსნაბრიუკი
ობერჰაუზენი 0:0 ესენი
ერფურტი — ვერდერი (მ) გადაიდო

ინტერტოტო? უფრო მეტისთვის ვიბრძოლებთ

გიორგი ჩიხრაძის ფოტო

გიორგი ჩიხრაძე უკეთეს ამერს გვპირდება

ამბიციური, თუმც მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ მეექვსე ადგილზე მყოფი თბილისის „ამერი“ გუშინწინ დაბრუნდა ანთალიური შეკრებიდან. გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე გვპირდება, რომ „ამერი“ მეორე წრეში უწინდელზე უკეთესი იქნება და მართლაც, „ამერი“ თავისი პოტენციით ის გუნდია, ჩვენს ჩემპიონატს ინტრიგას რომ უღვივებს...

— ანთალიაში სხვადასხვა ქვეყნის ოთხ უმაღლესლიგელს ვეთამაშეთ, ორი მოვიგეთ, ერთი ფრე, ერთი წავაგეთ. საერთო ჯამში ანთალიური შეკრებით კმაყოფილი ვარ. სეზონის დაწყებამდე, 13 თებერვალს, კიდევ ერთ საკონტროლო თამაშს ვაპირებთ, თუმცა მეტოქე ჯერ არ შეგვირჩევია.

— თქვენი კმაყოფილება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეორე წრეში „ამერი“ უკეთ წარმოაჩენს თავს?

— მეორე წრეში „ამერი“ სხვა თამაშს ითამაშებს. ვეცდებით, გულშემატკივრებსა და მეტოქეებს სიურპრიზები შევთავაზოთ.

— „ამერი“ ცდილობს, მეტოქეებს უფრო უკეთესი მომზადებით აჯობოს, „ამერის“ თამაშში არ არის ფანტაზია და მრავალფეროვნება — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— შეიძლება ითქვას, რომ „ამერი“ მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, თამაშის სტილი არ იცვლებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ უმაღლეს ლიგაში ახალი გადმოსულები ვართ, გუნდის ისეთნაირად ჩამოყალიბებას კი, მკვეთრად გამორჩეული სახე რომ ჰქონდეს, კვალიფიციური ფეხბურთელები და დრო სჭირდება, სხვანაირად გუნდის თამაში ეფექტური ვერ იქნება. პირველ წრეში ჩვენ ახალი ფეხბურთელების დამატება აშკარად გვჭირდებოდა.

— პირველი წრის შემდეგ ბოლნისის „სიონიდან“ სამი ფეხბურთელი დაიმატეთ — თენგიზ ჩიკვილაძე, დავით ბოლქვაძე და გრიგოლ დოლიძე — მეორე წრეში ეს „ამერის“ უკეთესი თამაშის საწინდარი იქნება?

— ანთალიაში სათამაშო რგოლების შეკვრაზე ვაკეთებდით აქცენტს, მანამდე ბაკურიანში ვიყავით შეკრებაზე და ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე ვმუშაობდით — ყოველი მოსამზადებელი ეტაპი „ამერში“ წინგადადგმული ნაბიჯია და დიდი იმედი გვაქვს, რომ მეორე წრეში უკეთესად ვითამაშებთ.

— ბოლქვაძის მოსვლის შემდეგ კაიდარაშვილი ჩვეულ პოზიციას, თავდამსხმელობას დაუბრუნდება და შეტევაში დავითაშვილ-კაიდარაშვილის დუეტზე გააკეთებთ აქცენტს?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან უწინდელისგან განსხვავებით, „ამერის“ თავდასხმაში ახლა დიდი კონკურენციაა. პირველ წრეში დავითაშვილს შეუცვლელად უწევდა თამაში, სევასტოპულო ტრავმის გამო სრულფასოვნად არ იყო მომზადებული, არასტაბილურად თამაშობდა წინამძღვრიშვილი, ტრავმა აწუხებდა ტატანაშვილს, ახლა კი გუნდის ყველა ფორვარდი კარგ ფორმაშია. გასინჯვაზე თბილისის „სპარტაკიდან“ მოვიყვანეთ ვასილ ღუჭაშვილი, რომელმაც ანთალიაში კარგად წარმოაჩინა თავი. მოკლედ, თავდასხმაში მძაფრი კონკურენცია იქნება.

— წინამძღვრიშვილს შარშან 19 და 21-წლამდელთა გარდა ეროვნულ ნაკრებშიც იწვევდნენ, ხოლო „ამერში“ საქმეები დალმა წაუვიდა, მეორე გუნდშიც კი გადაიყვანეთ, რომელიც პირველ ლიგაში გამოდის — რა პრობლემები ჰქონდა მას?

— რატის არც პირველ ლიგაში უთამაშია ბევრი მატჩი. მან დიდი დრო შეალია ნაკრებში მოგზაურობას, ტრავმებსა და სარეაბილიტაციო პერიოდს. წინამძღვრიშვილს მიაჩნდა, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი იყო, მაგრამ ჯერ უმაღლესლიგელი გუნდის ძირითადი შემადგენლობისთვის საჭირო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. არაჯანსაღი ამბიცია ხელს უშლიდა, ნორმალურად ევარჯიშა.

— პირველ წრეში „ამერისთვის“ პრობლემატური იყო მარჯვენა ფლანგის პოზიცია — გრიგოლ დოლიძის დამატებით ეს პრობლემა მოაგვარეთ?

— ახლა უკვე კარგ ფორმაშია გიორგი სილაგავაც, მარჯვენა მცველები გიორგი კვახაძე და ამირან კედელაშვილიც კარგ კონდიციაში არიან, მათი გამოყენება მარცხენა ფლანგზეც შეგვიძლია. ფაქტია, რომ „ამერი“ მეორე წრისთვის მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

— პირველადგილოსან „ვიტ ჯორჯიას“ შვიდი ქულით ჩამორჩებით — ჩემპიონობისთვის ბრძოლას რეალურად მიიჩნევთ?

— როცა გუნდს ყველა თამაშში მოგება უნდა, საბოლოოდ წაგებული არ დარჩება — თუ „ამერის“ ფეხბურთელებს ეს გამოუმუშავდებათ, მიუღწეველი არაფერი იქნება.

— ინტერტოტოს საგზურს თუ მოიპოვებთ, სეზონს წარმატებულად ჩათვლით?

— უფრო მეტისთვის ვიბრძოლებთ.

— საგურამოში მშენებარე ბაზაზე როდის გადახვალთ? ფაქტია, „ამერის“ ის კონკურენტები, რომელთაც საკუთარი ბაზა აქვთ, უკეთეს პირობებში არიან...

— მეორე წრის ბოლოსთვის შესაძლოა, საგურამოს ბაზაზე ვარჯიში დავიწყოთ, ხოლო თუ როდის დავბინავდებით იქ, ჯერ ვერ გეტყვით.

— „ამერის“ წვრთნასთან ერთად სწავლასაც არ ივიწყებთ...

— შარშან მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა დავამთავრე. ერთკვირიან სტაჟირებაზეც ვიყავი ლევერკუზენის „ბაიერში“. რაც შეეხება ლიცენზიას, როცა საქართველოში A ლიცენზიის კურსები დაიწყება, მაშინვე შევუდგები ამ საქმეს.

დავით თავართქილაძე

მიყვარხარ



ბარათით



გთავაზობთ

2 სიმ ბარათს, მსგავსი ნომრებით უფასოდ
855 20 XX XX, 855 30 XX XX,
თითოეულზე ხუთი ლარის სასაუბრო დროს,
ერთწლიან 14%-იან ფასდაკლებას
ერთმანეთთან საუბრისას
და 2 ფასდაკლების კუპონს.

ფასი 10 ლარი
აქცია ძალაშია 2006 წლის 1 მარტამდე.

GEOCELL

ფასდაკლება ვრცელდება:
რესტორნების ქსელი "ემ ჯგუფი"
აუდიო-ვიდეო მაღაზიათა ქსელი "ჩარლი"
კინოთეატრი "ამირანი"
"ისი-პარის" პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი

ჯეოსელი

გოგა ხაინდრავამ ცხინვალი დააიმედა

რას იტყვის პრემიერ-მინისტრი?

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ცხინვალი“ ისევ ჯიბეცარიელია, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, რომ ამ დღეებში რაღაც ეშველება.

გუშინ სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას ველაპარაკეთ, რომლის პოზიციაც უშუალოდ არის დაკავშირებული ამ კლუბის მომავალთან...

„ცხინვალელთა დღევანდელ მდგომარეობაზე ყველაფერი ვიცი. კლუბის ხელმძღვანელობას უკვე შევხვდი, უახლოეს დღეებში კი მათ თხოვნას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი განიხილავს და, ჩემი აზრით, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება“ — გვითხრა გოგა ხაინდრავამ.

„ცხინვალის“ ტექნიკური დირექტორი ზურაბ ნასუაშვილი იმედიანადაა, ახლახან შევხვდით ბატონ ხაინდრავას და, ალბათ, სარეზერვო ფონდიდან მოგვცემენ თანხასო.

მეორე წრის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება, „ცხინვალი“ კი მილიონებს არ ითხოვს — ამ კლუბს შარშანაც 80 ათასი ლარი ჰქონდა წლიური ბიუჯეტი და ნასუაშვილი ამბობს, ამდენს წლეულსაც ვიმყოფინებთო.

ილია ნანობაშვილი

თბილისმა მეორე ადგილს მოუგო



გიორგი დევდარიანის „თბილისი“ ამხანაგურ მატჩებში ჩაუქრობს

მეორე წრე ყველაფერს დაგვანახვებს, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი დევდარიანის „თბილისი“ მველებურად ქულების გამცემი მანქანა აღარ იქნება. მოსალოდნელიც იყო, რომ ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდი ნელ-ნელა აკრეფდა სიჩქარეს, გამოცდილებას შეიძენდა...

მოკლედ, სამი დღის ინტერვალში „თბილისმა“ მეორე საკონტროლო მატჩი მოიგო — ამჯერად ჩემპიონატის მეორეადგილოსან ბოლნისის „სიონს“ 1:0 აჯობა „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის სტადიონზე. ერთადერთი გოლი 43-ე წუთზე ჟღენტმა შეაგდო შორიდან, როცა ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობლიაშვილი კარიდან წინ იყო გამოსული.

მთლიანობაში თამაში თანაბარი იყო, „სიონსაც“ ჰქონდა მომენტები, თუმცა დამამთავრებელ ფაზაში ვეღარ ვარგობდნენ, თბილისელ რევაზ ბარაბაძეს კი მატჩის მილეულს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ერთხელ კარს ააცილა, მეორედ კი ბობლიაშვილმა იყოჩაღა.

აქვე გეტყვით, რომ „სიონის“ უკრაინელ ლეგიონერ ევგენი ლაშჩუკს პირველ ტაიმში ფეხი ეტკინა და ხვიჩა ქასრაშვილმაც მალევე შეცვალა.

სიონი: *ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, ქუცურუა, ხმალაძე, ბაჯელიძე, სირბილაძე, ლაშჩუკი, მიკუჩაძე.* შეცვლაზე შევიდნენ: *რაქვიაშვილი, ტატიშვილი, გ. ყიფიანი.*

თბილისი: *ბუბუტეიშვილი, მიმინოშვილი, გუბარაშვილი, დარასელია, ხოხონიშვილი, ბენდელიანი, ლ. კვარაცხელია, კვასხვაძე, ჟღენტი, რ. ბარაბაძე, გ. მიქაძე.* შეცვლაზე შევიდნენ: *ლილუაშვილი, ბერიძე.*

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობებმა კი გუშინვე 3:3 ითამაშეს.

ილია ნანობაშვილი

რუმინელებმა ზესტაფონს ჟანგი გაუწყვიტეს

„ზესტაფონმა“ კვიპროსულ შეკრებაზე ორ მოგებას დიდი ანგარიშით მარცხი შეუნაცვლა — რუმინეთის მეექვსეადგილოსან „არჯეშთან“ 1:4 წააგო. თემურ მახარაძემ ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ პირველ ტაიმში ათამაშა, რადგან წინა მატჩები მათ თითქმის შეუცვლელად ჩაატარეს და გადაღლილები იყვნენ. „არჯეში“ 2:0-ს იგებდა, როცა გია იმედაძემ ერთი საპასუხო შეაგდო, თუმცა მეორე ნახევარში რუმინელებმა „ზესტაფონის“ მეორე შემადგენლობას ორი გოლი გაუტანეს.

13 თებერვალს ფეროელები კორეულ „სეულს“ შეხვდებიან, მეორე დღეს კი კვიპროსიდან გამოფრინდებიან და 18 თებერვლის თბილისის „დინამოსთან“ სათასო მატჩისთვის ზესტაფონში მოემზადებიან.

ილია ნანობაშვილი

ფილიას არ ეგონა

ფოთის „კოლხეთი“ ლანჩხუთში ტესტ-მატჩებს მიეძალა და „ბათუმთან“ ორგზის წაგების შემდეგ გუშინ ოზურგეთის „მერცხალთან“ 1:0 მოგებით გამოიკეთა ხასიათი, გოლი კი დავით ნარსიამ შეაგდო. ფოთელები დღეს თბილისის „მერანს“, 13-ში კი „ქობულეთს“ ეთამაშებიან, ხოლო 18-ში სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩი ელით თბილისის „ამერთან“.

კოლხთა სატრანსფერო ამბებში ახალი მხოლოდ ისაა, რომ „მერცხალიდან“ თავის ყოფილ გუნდს დაუბრუნდა ვეტერანი მიხეილ ქობულაძე. ფილიამ გვითხრა, ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს ვსინჯავთ და ალბათ, მათაც დავიტოვებთო. მწვრთნელი სამეორეწრეოდ და სათასოდ იმედიანადაა, პირველ წრეშიც არ მეგონა, ასე კარგად თუ ვითამაშებდით და, წესით, ახლა უფრო უნდა მოვუმატოთ, რადგან გუნდი შეითამაშდაო.

შეგახსენებთ, „კოლხეთს“ ზამთრის შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა — მეკარე ზურაბ ბათიაშვილი.

ილია ნანობაშვილი

ახალი სიო სიონში

ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი კლუბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. სტადიონის ადმინისტრაციული კორპუსის ანუ გასახდელების, მსაჯთა და საპრესკონფერენციო ოთახების რემონტი უკვე დასრულდა. გასახდელებმა მეორედან პირველ სართულზე ჩაინაცვლა. სამაგიეროდ, მეორე სართულზე განთავსდა მსაჯთა და საპრესკონფერენციო ოთახები. შედეგად, გარკვეული ფართი გამოთავისუფლდა, რომელიც დოპინგ-კონტროლისა და სამედიცინო პუნქტებს დაეთმო.



ფაქსი და ქსეროქსი ქართული სტადიონებისთვის ჯერაც უცხოა

კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, რომ უკვე შეძენილია კომპიუტერი, ფაქსი და ქსეროქსი, რომლებიც უახლოეს დღეებში დამონტაჟდება. მალე ამოქმედდება კლუბის ინტერნეტ-გვერდიც. „სიონის“ ხელმძღვანელობა აპირებს სტადიონზე ელექტროტაბლოსა და განათების სისტემის დამონტაჟებასაც, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი „სიონი“ ევროთასებზე გავა.

ლიცენზირების პროცესში იურიდიული კრიტერიუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და სეზონის განახლებამდე გადაიხედება თითოეული ფეხბურთელის კონტრაქტი. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონიდან „სიონი“ უარს იტყვის ფეხბურთელების ნახევარწლიანი იჯარით აყვანაზე და მხოლოდ ხანგრძლივი კონტრაქტით დაკავშირებულ ფეხბურთელებს დაეყრდნობა.

ყველაფერი ზემოთქმული ერთ მიზანს ემსახურება: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტი ბოლნისში ექსპერტებს მიავლენს და თუ კლუბმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, უეფაში შესაბამისი შუამდგომლობა გაიგზავნება ევროტურნირების შეხვედრების ბოლნისში გამართვის თაობაზე.

გიორგი ნოზაძე

კატანეცი უქმობამ სკოპიეში ჩაიყვანა

ორი-სამი თვის წინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი, სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი გუშინწინ მაკედონიის ნაკრების თავკაცად დაინიშნა. მაკედონიური წყაროების ცნობით, კატანეცმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდს ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლომდე გაუძღვება.

შეგახსენებთ: ბოლო მომენტამდე კატანეცი ჩვენს ეროვნულ გუნდში კლაუს ტოპმიოლერის უმთავრესი კონკურენტი იყო და თბილისშიც აპირებდა ჩამოსვლას, თუმცა საქართველომ აქცენტი ტოპიზე გააკეთა და... კატანეცი სკოპიეში ჩავიდა.

კახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

შოტლანდიამ შვეიცარია დაპატიჟა

საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელი, უოლტერ სმიტის შოტლანდია უახლოეს ამხანაგურ მატჩს შვეიცარიის ნაკრებთან 1 მარტს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ გამართავს. სქოთთა მთავარი მწვრთნელი კი საამმატჩო შემადგენლობას 20 თებერვალს დაასახელებს.

შეგახსენებთ, 1 მარტი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღეა და ამ დღეს საქართველოს ნაკრებიც თამაშობს — კლაუს ტოპმიოლერის გუნდს მალტის ოთხთა ტურნირის ბოლო მატჩი უწევს.

ლუკა თალაკვაძე



ჰგავს თუ არა ტოპმიოლერი ბობ დილანს?

შოტლანდია ევრო 2008-ის შესარჩევში ჩვენი ერთ-ერთი მეტოქეა. ჩვენი არ იყოს, მათაც ახალი მწვრთნელი ჰყავთ და ალბათ გულის სიღრმეში ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრსაც ბედავენ, ამიტომაც, ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ, რას წერს იქაური მედია, მით უმეტეს, სქოთები ქართველებსაც ხშირად ახსენებენ...

შოტლანდიური ფიქრები მონტროდან, სადაც შეგიძლია, ყველა უბედურება დაივიწყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტრო — ადგილი, სადაც შეგიძლია, ყველა უბედურება დაივიწყო. ასეთი იყო ეს შვეიცარიული ქალაქი ბაირონისთვის, ჰემინგუეისთვის და ჩარლი ჩაპლინისთვის...

მიუხედავად მშვენიერი ამინდისა, უოლტერ სმიტმა მალე იგრძნო, რომ მონტრომ მის შუბლზე ახალ-ახალი ნაოჭების გაჩენას შეუწყო ხელი. შოტლანდია B ჯგუფში აღმოჩნდა — შემდეგ წამოვიდნენ უკრაინა, იტალია და საფრანგეთი.

სამივე გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა; სამივე პირველ ადგილზე გავიდა თავ-თავის საკვალიფიკაციო ჯგუფში...

სმიტმა სცადა, სახეზე შიში არ დასტყობოდა, თუმცა ჟურნალისტებისკენ ნასროლმა ფრაზამ, უარეს წილისყრას ვერც წარმოვიდგენდიო, ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

ფავორიტები ერთი პრობლემაა, მაგრამ ამას წარსულის კოშმარებიც დაერთო. ფარერები, რომელთანაც ევრო 2004-ის შესარჩევში შოტლანდიამ ფრე ითამაშა და იმავე შესარჩევის მეორე იმედგაცრუება — ლიტვა, ვისთანაც ბერტი ფოგთსის ბიჭებმა სულაც წააგეს.

წარმოიდგინეთ, შოტლანდიას ის ორი მატჩი რომ მოეგო, გერმანიას გაუსწრებდა და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა.

ამას დაუმატეთ საქართველო — მეექვსე კალათის ყველაზე ძლიერი გუნდი, რომელსაც, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერებს კლაუს ტოპმიოლერი, მწვრთნელი, რომელიც ქართველებმა წინა შესარჩევ ციკლში განცდილი ფიასკოს შემდეგ მიიწვიეს.

მონტროს კონგრეს-ცენტრში ტოპმიოლერის უკან მსხდომ გერმანულ დელეგაციას აშკარად ეტყობოდა, თანამემამულის მწარე ხვედრით შეწუხდნენ. კაცი, რომელმაც პატარა „ლევერკუზენი“ 4 წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ათამაშა, ბობ დილანის გამომეტყველებით იჯდა და შიში სულაც არ დასტყობია, შემდეგ კი წყნარად გააანალიზა ჯგუფი:

„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზედა სამეული ერთმანეთთან თამაშისას ბევრ ქულას დაკარგავს. შოტლანდიას ფინალურ ეტაპებზე მონაწილეობის კარგი გამოცდილება აქვს და, რამდენადაც ვიცი, ბოლო ხანს თქვენი თამაშის ხარისხიც გაუმჯობესდა. 2002 წელს მე გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ წავაგე ჩემპიონთა ლიგის ფინალი, ახლა კი იქ დასაბრუნებლად ვემზადები. გუნდში მყავს არველაძე და ხიზანიშვილი, რომლებიც კარგად იცნობენ შოტლანდიურ ფეხბურთს“.

1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე უოლტერ სმიტი შოტლანდიასთან ერთად „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდა — გერმანიასთან, ურუგვაისთან და დანიასთან. მაშინ ის ალექს ფერგიუსონის თანაშემწე იყო. ასეთივე რთულ სიტუაციაშია სმიტი ახლაც...

„იმის იმედი მაქვს, რომ შესარჩევს კარგად დავიწყებთ. იმედია, კალენდარი ისე შედგება, თავიდანვე მოვიპოვებთ ქულებს, რაც შემდგომში მორალურად დაგვეხმარება“ — ამბობს სმიტი. შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი დევიდ ტეილორი კი ამატებს: „ჯგუფში შვიდი გუნდია, ამიტომ აქედანვე უნდა შევეგუოთ იმას, რომ ვერ შედგება ისეთი კალენდარი, რომელიმე გუნდს სავსებით აძლევდეს ხელს, დათმობა ყველას მოუწევს.“

მარჩელო ლიპი კენჭისყრაზე არ გახლდათ, რაიმონ დომენეკმა განაცხადა, ევროშესარჩევზე მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვიფიქრებო. მიშელ პლატინი კი ხუმრობდა, მატჩების გამართვა შეიძლება ტაიტიზე მოგვიწიოსო. მოგეხსენებათ, „სტად დე ფრანსი“ 2007 წლის შემოდგომაზე მორაგბეებს ექნებათ „ოკუპირებული“.

სხვათა შორის, პლატინის კარგად უნდა ახსოვდეს შოტლანდია — გუნდი, რომელმაც მორის ჯონსტონის 2 გოლის წყალობით, საფრანგეთს იტალია-90-ის კარი ჩაურაზა. იტალიელებიც არ უნდა იყვნენ მშვიდად შარშანდელ სექტემბერში გლაზგოში შოტლანდიასთან ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ, თუმცა ფავორიტებთან წარმატებაც კი შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს, თუ შოტლანდიას ასპროცენტიანი შედეგი არ ექნება შინ საქართველოსთან, ლიტვასთან და ფარერებთან.

კიდევ ერთი რთული მეტოქე უკრაინაა. „რეინჯერსის“ ყოფილი მოთამაშე ალექსეი მიხაილიჩენკო ამბობს, უკრაინას არასოდეს ჰყოლია ისეთი ძლიერი ნაკრები, როგორიც ახლა ჰყავსო. მის სიტყვებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ნაჩვენები შედეგებიც ადასტურებს: უკრაინა პირველ ადგილზე გავიდა ჯგუფში, რომელშიც თურქეთი, დანია და საბერძნეთი თამაშობდნენ, თანაც ისე, რომ მხოლოდ ერთი მატჩი წააგო.

შოტლანდია უკრაინას არასდროს შეხვედრია, თუმცა... ფარერებია ნაცნობი გუნდი. მოყვარულ კუნძულელებს სქოთები უკვე ოთხჯერ გადაჰყრიან შესარჩევებში და ბოლო ორი ვიზიტი არქიპელაგზე შოტლანდიელთათვის სამარცხვინო ფრეებით დასრულდა.

იმედია, უოლტერ სმიტს გაუმართლებს იქ, სადაც ბერტი ფოგთსსა და კრეიგ ბრაუნს ხელი მოეცარათ...

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

„ჩელსი“ — „ბარსელონას“ საჩემპიონთალიგო ჯახს მთელ მსოფლიოში მოუთმენლად ელიან. წინა სეზონში ფრანკ რაიკარდის ბიჭებს ლონდონელებმა აჯობეს, რაც ამ ორი გუნდის წლევანდელ შეხვედრას მეტ ინტრიგას მატებს. კატალონიურმა „სპორტმაც“ ამ დიდ მატჩზე სასაუბროდ ჯანლუკა ვიალის ლონდონში ჩააკითხა — იგი ხომ „იუვენტუსში“ ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ „ჩელსიში“ თამაშობდა და იქაურთა მწვრთნელიც გახლდათ. როცა ფეხბურთით ტკბობა მინდა, „ბარსას“ მატჩებს ვუყურებო — უთხრა „სპორტს“ ინგლისელთა ექსდამრიგებელმა

ჯანლუკა ვიალი ბარსათი თვრება და ჩელსით პასმელიაზე გამოდის

— როგორ ფიქრობთ, „ჩელსიში“ ევროპულ გრანდობაზე პრეტენზია მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც „სტემფორდ ბრიჯზე“ ვიალი და ძოლა მივიდნენ?

— არა მგონია, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე „ჩელსი“ ინგლისური ფეხბურთის ევროპეიზაციის ანარეკლია.

— და როდის „გაევროპელდნენ“ ბრიტანელები?

— ყველაფერი გლენ ჰოდლმა დაიწყო — საფრანგეთში თამაშის მერე ინგლისში გამწვრთნელებულმა ყველაფერი გაათანამედროვა. ჰოდლმა, ვარჯიშით დაწყებული კვებით დამთავრებული, ყველაფერი ევროპულ ყაიდაზე გადაკეთა. ამის შემდეგ რანიერის პერიოდი დადგა და „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაში ძოლამ, მე და სხვა ფეხბურთელებმა დავიწყეთ. ოღონდ „ჩელსის“ გრანდობამდე მაინც აკლდა რაღაც...

— ეს „რაღაც“ ფული იყო?

— უფრო მეტი, ვიდრე ფული. ჩვენ აბრამოვიჩი გვაკლდა, უზომოდ მდიდარი და ამასთან ჭკვიანი და აზარტული კაცი. რომან აბრამოვიჩს ყველაფრის მოგება უნდა და ჟოზე მაურინიუც იმიტომ მიიყვანა „ჩელსის“ მწვრთნელად.

— მაურინიოს საფეხბურთო სტილი ინგლისურზე მეტად იტალიური ხომ არ არის?

— მან „ჩელსიში“ ყველაფერი დანერგა, რაც იტალიურ, ესპანურ და ინგლისურ ფეხბურთს საუკეთესო ჰქონდა და შედეგიც შესანიშნავი მიიღო. ვფიქრობ, მაურინიუს „კოქტეილი“ ბრწყინვალეა — უცხოელ ვარსკვლავებთან ერთად საუკეთესო ინგლისელი მოთამაშეები ჰყავს.

— მოგწონთ „ჩელსის“ სათამაშო მანერა?

— დიახ, ჩემი აზრით, კარგმა გუნდმა დაახლოებით ასე უნდა ითამაშოს. როგორც ინგლისური კლუბებს სჩვევიათ, მატჩის მოსაგებად ბოლო წუთამდე გააფთრებით იბრძვიან და თან ჭკვიანურ ტაქტიკას არჩევენ. გულშემატკივარს უყვარს, როცა ფეხბურთელი სულს და გულს მოედანზე დებს...

— „ბარსელონას“ ფეხბურთი უფრო ლამაზი არ გეჩვენებათ?

— რა თქმა უნდა. „ჩელსის“ მატჩებს მწვრთნელის ან ანალიტიკოსის თვალით ვუყურებ, ხოლო, როცა მოედანზე „ბარსას“ ვხედავ, ფანატიკოსი ინჩასივით ვიქცევი. კატალონიელების შეხვედრებს ფეხბურთით ტკბობისთვის ვუყურებ, „ჩელსის“ — წმინდა პროფესიული თვალსაზრისით.

— ამ ტაქტიკათა ომში უპირატესობას რომელს მიანიჭებდით?

— როცა „ბარსელონას“, „ჩელსის“, „მილანის“ „იუვენტუსის“ ან „ბაიერნის“ მსგავსი მონსტრები ხვდებიან ერთმანეთს, მატჩებს პატარა დეტალები, ბედი ან... რონალდინიო წყვეტს ხოლმე.

— „კამპ ნოუს“ ბრწყინვალე ბრაზილიელზე რას გვეტყვით?

— მისი თამაში ძალიან მომწონს, შესანიშნავი და ეფექტურია. რონალდინიო უკიდურესად სწრაფია და მცველებისთვის დიდი პრობლემაა. დააკვირდით რონის ფინტებს, მოედანზე გადაადგილების მანერას და დარწმუნდებით, რომ ამდენი რამის ერთიმეორესთან იღბლიანად შეთავსებას ვერავინ მოახერხებს. მაგალითად, იტალიურ ფეხბურთში თამაშში გაცინებულ ფეხბურთელებს ვერ ნახავ. რონალდინიო კი თამაშიდან უდიდეს სიამოვნებას მთელი არსებით იღებს.

— რონალდინიოს და ეტოოს დუეტი უფრო მძლავრია თუ ტერისა და ლამპარდისა?

— „ჩელსის“ სიმძლავრე დაცვაშია, „ბარსელონასი“ — თავდასხმაში. თუმც აქ კლოდ მაკელელე არ უნდა დაგვავიწყდეს, კაცი, რომელიც სათამაშო რგოლებს აერთიანებს. თან ლამპარდიც და ტერიც მაურინიუს გუნდის გამორჩეული ლიდერები არიან.

— რონალდინიოს გარდა ბარსელონელთაგან თქვენს ყურადღებას ვინ იპყრობს?

— სამწუხაროა, რომ „ჩელსი“ — „ბარსას“ უიშვიათესი ფეხბურთელი ხავი ტრავმის გამო დააკლდება. დეკოც ძალიან მომწონს. ის პირველი ბრაზილიელია, რომელიც პრემიერლიგაში სათამაშოდ დაიბადა...

— ჟოზე მაურინიუზე რას ფიქრობთ?

— გუნდში ყველა ფეხბურთელთან საერთო ენა გამონახა და ამისთვის ძალიან ვაფასებ. ნებისმიერი მოთამაშე პიროვნებაა და ერთ ყალიბში მათი მოქცევა დიდი შეცდომა იქნებოდა. მაურინიუმ თავისი დახვეწილი ფსიქოლოგიით განსხვავებული ტიპის ადამიანებისგან ერთ მუშტად შეკრული გუნდის შექმნა შეძლო, რაც ურთულესი საქმეა.

— წინა სეზონის „ჩელსი“ უფრო უკეთესია თუ დღევანდელი?

— მწვრთნელისთვის უკეთესია, როცა გუნდი თანდათან უმჯობესდება. შარშანდელ სეზონში ზუსტად ამ დროს „ჩელსის“ პრემიერლიგაში 6 ქულით ნაკლები ჰქონდა. ლონდონელები ახლა უფრო სტაბილურები არიან.

— მრავალი წელია, რაც ფრანკ რაიკარდს იცნობთ. „ბარსელონას“ მწვრთნელი ფეხბურთის იტალიურ სტილს მისდევს თუ ჰოლანდიურს?

— ახლანდელი „ბარსა“ არიგო საკის დროინდელ „მილანზე“ მეტად კრუიფის ძლევამოსილ „ბარსელონას“ წაგავს. თუმცა „დრიმ თიმისგან“ რაიკარდის გუნდი დაცვისადმი მეტი ყურადღებით განსხვავდება. ფრანკს იტალიური სკოლა აქვს გავლილი და მაურინიუსავით უკანა ხაზში არასოდეს რისკავს ხოლმე.

ინგლისელებს აღმაშენებელი უნდათ

რუნიმ თქვა, დეივისჭკვისამა, თასს ინგილსი აწერიაო

უეინ რუნი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის იმ სამკაციანი კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც ნაკრების მწვრთნელი უნდა დაასახელოს, განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელი ბრიტანელი იქნება. პრემიერლიგის თავმჯდომარემ დეივ რიჩარდსმა მედიას სიტყვა-სიტყვით უთხრა: „ბრიტანელი ბოსის დრო მოვიდა. ისეთი კაცი გვინდა, ვისაც ჩვენი საფეხბურთო განცდა და რწმენა შესისხლხორცებული აქვს. ბრიტანელს ვამბობ, არა სავალდებულოდ ინგლისელს“.

ამბობენ, რომ ესაა მინიშნება ჩრდილოირლანდიელ მარტინ ონილზე, რომელიც ახლა უმუშევარია, მანამდე კი გლაზგოს „სელტიკის“ თავკაცი იყო. თუმცა განიხილებიან სემ ალარდაისიც, სტიუარტ პირსიც და ალან კერბიშლიც. რიჩარდსის ამ ნათქვამით, სიიდან ამოირიცხნენ ლუიშ ფელიპე სკოლარი და გუს ჰიდინკი. „ჩვენ უდიდესი საფეხბურთო ერი ვართ და ისეთი კაცი გვინდა, ვინც ამას დაამტკიცებს. ჯერ დრო ბევრია. ჯერ მსოფლიო თასი უნდა მოვიგოთ“ — თქვა რიჩარდსმა.

მსოფლიო თასის მოგება მართლაც გულში აქვთ ამოჭრილი ინგლისელებს. გუშინ უეინ რუნიმ განაცხადა, რომ ინგლისი აუცილებლად ამისთვის იბრძოლებს: „იმ თასს ჩვენი სახელი აწერია. ამასწინათ სტივ ჯერარდს ველაპარაკე და ისიც თვლის, რომ ეს შეგვიძლია“.

ირაკლი გამყრელიძე

სენსინი და დომინისინი ნაკოზმარი უდინეზესთვის



ნესტორ სენსინი

„უდინეზეს“ მწვრთნელი სერსე კოზმი თანამდებობიდან წავიდა. ეს ამბავი მას მერე გახდა ცნობილი, რაც კოზმიმ და უდინელთა პრეზიდენტის, ჯამპაოლო პოცოს ვაჟმა ჯინომ მთელი ღამე მოლაპარაკებებში გაატარეს. ისინი შეთანხმდნენ, რომ მწვრთნელი, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად პოსტზე კიდევ 18 თვე უნდა ემუშავა, საკომპენსაციო თანხას მიიღებდა და თავის გზას ეწეოდა. ამ მოლაპარაკებისთვის ჯინო პოცო საგანგებოდ ჩამოფრინდა ბარსელონიდან.

გადაწყდა აგრეთვე, რომ ამ ეტაპზე „უდინეზეს“ მოთამაშე-მწვრთნელი, ვეტერანი არგენტინელი ნესტორ სენსინი გაუძღვება. მას თანაშემწეობას „კომოს“ ყოფილი თავკაცი ლორის დომინისინი გაუწევს.

სხვათა შორის, სენსინი სულ ახლახან გახდა სერია A-ს ისტორიაში ასაკით მესამე ფეხბურთელი, რომელმაც გოლი შეაგდო. არგენტინელი 39 წლისაა. იგი „უდინეზეში“ პირველად 1989 წელს მივიდა, მას მერე კი წარმატებით მოიარა „პარმა“ და „ლაციო“. დღეს უკვე მოთამაშე-მწვრთნელი უდინელებს 2004-ში დაუბრუნდა.

ხოლო, რაც შეეხება კოზმის თანამდებობიდან გაშვებას, ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ერთი ეგაა, ბევრს ეგონა, რომ 47 წლის ტაქტიკოსს კიდევ ერთ, „ლაციოსთან“ თამაშს აცდიდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

„მე ჯერ კიდევ ვფიქრობ, რა ღონეს მივმართო. ჩვენი კლუბი უჩვეულო მდგომარეობაშია და აქედან გამოსავალი უნდა მოიძებნოს“ — ეს სიტყვები კი „უდინეზეს“ პრეზიდენტმა ჯამპაოლო პოცომ ბრძანა.

სხვათა შორის, კოზმიმ „ჯენოადან“ „უდინეზეში“ გადასვლისთანავე მეტად შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. წარმატებები გასული ზაფხულიდან დაიწყო, როდესაც „უდინეზემ“ ჩემპიონთა ლიგაში შეაღწია და იქ ჯგუფიდან კინაღამ თექვსმეტ საუკეთესოში გავიდა. მეორე მხრივ კოზმი და მისი ბიჭები ხერია A-ში დაიჩაგრნენ, სადაც საქმე ძალიან ცუდად წაუვიდათ. კლუბის ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალა კი, როგორც ჩანს ახლა ოთხშაბათს, „რეჯინასთან“ დამარცხებამ აავსო. დღეს „უდინეზეს“ ბოლო თერთმეტი თამაშიდან ერთადერთი მოგება აქვს და 26 ქულით მეთორმეტე ადგილზეა.

„გუნდისთვის რაც შემეძლო, ვაკეთებდი. მეგონა, საკუთარი სამსახურიც საიმედოდ მქონდა დაცული, მაგრამ „რეჯინასთან“ დამარცხების შემდეგ მივხვდი, რომ კრიტიკოსები მართლები იყვნენ. ჩვენ ცხრილში სულ დაბლა და დაბლა ვეშვებით.“ — განაცხადა კოზმიმ ოთხშაბათ საღამოს, უდინელთა თავკაცის რანგში თავის ბოლო პრესკონფერენციაზე.

პაპუნა კედია

აფრიკის ერეოვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

ფინალი

ეგვიპტე 0:0(პენ.4:2) კოტ დივუარი

ეგვიპტე: ელ ჰადარი, აბდელ ვაჰაბი, ელ საიდი (ჰალიმ ალი 113), ელ საკა, გომაა (ა. ფატი 21), ა. ჰასანი, ბარაქათი, აბუტრიკა, შაკი, ზაკი, მოტაები (მუსტაფა 81)

მწვრთნელი: ჰასან შეჰატა

კოტ დივუარი: ტიზიე, ებუ, კ. ტურე, კუასი, ბოკა, ზოკორა, აკალე (ბ. კალუ 61), ფაე, ი. ტურე (ბ. კონე 91), დროგბა, ა. კონე

მწვრთნელი: ანრი მიშელი

გაფრთხილება: აკალე, კუასი, ებუ, ელ საკა

მსაჯი: მურად დაამი (ტუნისი)

80 000 მაყურებელი

ფარაონთა ფარაონი აბუტრიკა

დროგბამ მიშელს ვერ უშველა

AFP კაიროდან

ეგვიპტელთა მეკარე ესამ ელ ჰადარი სიხარულმა ძელ-ხარიხაზე გასვა

მეხუთედ მოიგო ეგვიპტემ აფრიკის ეროვნებათა თასი. ხუთჯერ ეს ჯილდო აქამდე არავის რგებია, „ფარაონებმა“ კი მოახერხეს. ხოლო, სანამ თასამდე მივიდოდნენ, კოტდივუარელ „სპილოებთან“ 120- წუთიანი უგოლო ბრძოლა გადაიტანეს. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, აქ კი მოჰამედ აბუტრიკა გახდა ეგვიპტელთა გმირი, რომელმაც გამარჯვებისა შეაგდო.

პენალტის გატანა აჰმედ ჰასანს დამატებითი დროის 97-ე წუთზეც შეეძლო, მაგრამ ჯერ კიდევ ფინალამდე აფროტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ბურთი ძელს გაარტყა — 80 ათასმა არაბმა ამოიგმინა, კოტ დივუარი კი ხარობდა ჰასანის გაცუდებულ პენალტს — აქაოდა, მსაჯმა ტყუილად დანიშნა. ასეც იყო, 94-ე წუთზე კოტ დივუარის საჯარიმოში „სპილო“ ბლეზ კუასი და „ფარაონი“ მოჰამედ ბარაკატი შეეჯახნენ, ხოლო ტუნისელმა მსაჯმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. კოტ დივუარის მწვრთნელმა, უსამართლობით გაოგნებულმა ანრი მიშელმა თავში ხელები შემოირტყა, დიდი „ტიტო“ დროგბამ კი მოედნის კიდესთან მიირბინა, მუხლებზე დაეცა და მსაჯისგან გამოგონილი პენალტის გამო სამართალს თავაწეული და ხელებაპყრობილი ზეცაში ეძებდა. სამართალმა პური ჭამა, აჰმედ ჰასანმა ვერ გაიტანა, მაგრამ მატჩს, მაინც პენალტებით დასრულება ეწერა.

120-წუთიანი უგოლობის შემდეგ საჯარიმოში, თეთრ წერტილზე ბურთის დადების დრო მოვიდა. წერტილთან პირველი „ტიტო“ დროგბა მივიდა და... მანამდე „სპილოების“ ფინალამდე მიმყვანმა თავისი ნაჯაფი წყალს გაატანა — ესამ ელ ჰადარიმ აუღო, რომელმაც პენალტების სერიაში კიდევ ერთის მოგერიება შეძლო. სხვა დამრტყმელების ჩამოთვლით თავს ალარ მოგაბეზრებთ, ბოლო, მეხუთე და გადამწყვეტი მოჰამედ აბუტრიკამ შეაგდო. მერე კი იყო ყურანის კოცნა და ლოცვა...

ვაჟა ხუციშვილი

მატჩი მე-3 ადგილისთვის

ნიგერია 1:0 სენეგალი

1:0 ლავალი (80)

ნიგერია: ენიემა, ოდია, იობო, ნვანერი, ტაივუ, ლავალი, ოკოჩა (ორუმა 67), ობინია (ნ. კანუ 79), ობოდო, მარტინსი, უტაკა

მწვრთნელი: აუგუსტინ ეგუავონი

სენეგალი: პ. მ. დიუფი, ო. დაფი, ნდოუ, დიახატე, ბუკარი, ისა ბა, ჯიბა (პ. ბ. დიოპი 62), აბდულა ფეიე, ბარი (ა. კამარა 69), დ. კამარა, ს. კამარა (ნიანგი 78)

მწვრთნელი: აბდულა სარი

გაფრთხილება: დ. კამარა, ოდია

მსაჯი: კომან_ კულიბალი (მალი)

5 000 მაყურებელი



სინიშამ „იებს“ მიაფურთხა

ბოშური ფოკუსი

სინიშა მიხაილოვიჩი აქლემად აქციეს

სერბი ნახევარმცველი სინიშა მიხაილოვიჩი ისევ შარში გაეხვა. 36 წლის ვეტერანმა „ინტერისა“ და „ფიორენტინას“ მატჩისას ფლორენციელთა ახალგაზრდა ქომაგს შეაფურთხა. სერბი შესვენებისას ერთ-ერთ გულშემატკივარს ავტოგრაფს აძლევდა, როდესაც მას „იების“ მავანმა ფანმა შეურაცხყოფა მიაყენა და ემოციურმა მიხაილოვიჩმაც მას ორჯერ მიაფურთხა სახეში, რის მერეც იგი სამართალდამცავებმა დააშოშმინეს.

სინიშა მიხაილოვიჩი: „იგი გაუთავებლად ბინძურ ბოშას მეძახდა. საბოლოოდ ნერვები ვეღარ მოვთოკეთ დროს ძნელია თავის შეკავება, თუმც მომხდარის გამო ვწუხვარ“.

მოგეხსენებათ, მიხაილოვიჩისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის, იგი მრავალჯერ დაუსჯიათ, თუმც აქამდე მისი სამიზნეები ძირითადად ფეხბურთელები იყვნენ. სერბს სასჯელი, ალბათ, არც ახლა ასცდება, მაგრამ რამდენად მძიმე იქნება იგი, ჯერ უცნობია.

„ინტერის“ თემა ალვარო რეკობათი განვაგრძოთ, რომელსაც ბრაზილიური „ფლამენგო“ ეპატიჟება. ამ კლუბის პრეზიდენტი კლებერ ლეიტე ურუგვაელის დიდი ქომაგია და ძალიან უნდა, 29 წლის პლეიმეიკერი თავის გუნდში გადაიყვანოს.

„ალვარო ახლა 29 წლისაა და ევროპაში უკვე საკმაო ხანი გაატარა. ჩემი აზრით, მისთვის შესაფერისი დროა სამხრეთ ამერიკაში დასაბრუნებლად. ჩვენ რეკობას აგენტებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ეს უფრო გვაიმედებს“ — თქვა ლეიტემ.

თავად რეკობას თავის გეგმებზე ჯერ არაფერი უთქვამს. არადა, „ინტერთან“ მის კონტრაქტს ამ სეზონის ბოლოს გასდის ვადა და ვერც გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხვდება ხშირად. თუმც იგი „ნეროაძურის“ მფლობელ მასიმო მორატის საყვარელი ფეხბურთელია და ეგებ ცნობილმა ნავთობმაგნატმა მისი გაშვება კვლავ იუაროს.

კოკი კანდელაკი

კაპელოს ფაშიზმი კი არა, თავისი ოქრო აღელვებს

ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ფაშისტობა დააბრალეს. შეგახსენებთ, ესპანეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც კაპელო მადრიდის „რეალში“ გატარებულ წლებს იხსენებს და ამბობს, ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდ დიქტატორად შერაცხულმა ფრანკომ მოაწესრიგაო. ბრალდებებზე დონ ფაბიოს კომენტარმა არ დაახანა და მან ფაშიზმის მხარდაჭერა კატეგორიულად უარყო.

„ჩემი სიტყვები არასწორი ინტერპრეტაციით დაბეჭდეს. ფაშიზმს არასოდეს ვემხრობოდი, არც მემარჯვენეს და არც მემარცხენეს. პირიქით, მამაჩემი საკონცენტრაციო ბანაკში იყო...“ — განაცხადა კაპელომ.

ყველაფერი კი იტალიური „ლა რეპუბლიკასთვის“ მიცემული ინტერვიუს მერე დაიწყო, რის შემდეგაც ესპანურმა ჟურნალ-გაზეთებმა კაპელოს სიტყვები ხან ასე და ხან ისე ატრიალეს.

გამოცდილ მწვრთნელს კი ახლა სხვაც ბევრი აღელვებს. „იუვენტუსმა“ ბოლო ორი მატჩი ძალიან არადამაჯერებლად ჩაატარა, ხვალ კი „ინტერთან“ ელის ძალიან პრინციპული მატჩი. გარდა ამისა, ტურინელებმა კაპელოს ფავორიტ ზლატან იბრაჰიმოვიჩთან დაიწყეს მოლაპარაკება კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ და დონ ფაბიოს იმედი აქვს, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება. „იუვეს“ შვედ ფორვარდს კი მადრიდის „რეალი“ ეპატიჟება, ხოლო თავად ზლატანი იტალიურ კლუბს ხელფასის გვარიანად გაზრდას სთხოვს.

გიორგი კაკაბაძე

ტრაპმა შვიდ თვეში ვეჰი შვა

არმინ ვეჰი

„შტუტგარტის“ მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი დანიშვნიდან შვიდ თვეში მოხსნეს. იტალიელი გუშინ სამსახურიდან დათხოვეს და მისი ადგილი როსტოკის „ჰანზას“ ყოფილმა თავკაცმა არმინ ვეჰმ დაიკავა.

